ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის
განვითარების კომისიის დასკვნა

ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (03.02.01.) ქვეპროგრამას დაემატოს ახალი ღონისძიებები, კერძოდ: შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N45-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N41-სა და N43-ს შორის სკვერის მოწყობა; შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N35-ის მიმდებარედ სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა; შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N33-ის კორპუსის უკანა მხარეს სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა; ინასარიძის ქუჩა N14 და N22-ის მიმდებარედ სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა; ი.ჯავახიშვილის ქუჩა N4-ის და N6 შორის სკვერის მოწყობა; გ. ტაბიძის ქუჩა N31; N33; N35; N37; N39; კორპუსების საერთო ეზოში სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა; გ. ტაბიძის ქუჩა N21 და N25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა; პ.რურუას ქუჩა N4 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; გ.ლეონიძის ქუჩა N6ვ; N6ბ და N6ა კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ დასკვნაში ასახული ღონისძიებების ბიუჯეტში განთავსების და შემდგომ განხორციელების მიზნით ჩვენს მიერ, გაცემულია დავალება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების თაობაზე.

შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციების დამზადების შემდგომ, რასაც დასჭირდება გარკვეული პერიოდი, რიგითობის პრინციპის გათავლისწინებით შესაბამის ეტაპზე მოხდება, სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი ასიგნებების ბიუჯეტში გათვალისწინება.

აქვე გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის დასკვნაში ასახული ერთ-ერთი ღონისძიება "ქ. ბათუმში, პ. რურუას ქუჩა N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა" - გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში.